აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
30 ივნისი, 2017

დადგენილება№47 (16/17)
ენათა ცენტრში ხელშეკრულების საფუძველზე და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული სპეციალისტების დატვირთვის დიაპაზონისა და სახელფასო ანაზღაურების შესახებ

1. ენათა ცენტრში ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტის სასწავლო დატვირთვის მთლიანი წლიური მოცულობა განისაზღვროს - 500 საათი; მათ შორის ლექცია-პრაქტიკული მუშაობის მინიმალური სავალდებულო საათების რაოდენობა განისაზღვროს 360 საათი;
2. ხელშეკრულებით მოწვეულ სპეციალისტს უფლება აქვს სასწავლო დატვირთვის ნორმის (500 საათი) ზევით შეასრულოს სასწავლო დატვირთვა საათობრივი ანაზღაურების წესით არაუმეტეს 170 საათის (ლექცია-პრაქტიკული მუშაობა 70%; კონსულტაცია, ტესტების მომზადება, სტუდენტის შეფასება 30%) ოდენობით, რისი ანაზღაურებაც მოხდეს ინდივიდუალური დატვირთვით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ.
3. იმ პირებს, რომლებიც მოწვეული იქნებიან ენათა ცენტრში მხოლოდ საათობრივი ანაზღაურების წესით, სასწავლო დატვირთვის მოცულობა განესაზღვროთ არანაკლებ 260 საათისა (ლექცია-პრაქტიკული მუშაობა 70%; კონსულტაცია, ტესტების მომზადება, სტუდენტის შეფასება 30%);
4. ხელშეკრულებით, საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულ პერსონალს, რომელსაც მუშაობა უხდება საბაკალავრო პროგრამებზე არსებულ მცირერიცხოვან ჯგუფებში (10-ზე ნაკლები) ინდივიდუალურ დატვირთვაში სასწავლო ნორმატივები განესაზღვროთ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ივნისის დადგენილების №46(16/17) მე-13 მუხლის“ტ“ პუნქტით.
5. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ხელშეკრულებით ან საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პირის სასწავლო წლიური დატვირთვის მოცულობა და ანაზღაურების წესი (ამ ბრძანების პირველი, მე–2 ან მე–5 მუხლით განსაზღვრული ნორმებისადმი პირდაპირი პროპორციის გათვალისწიმებით) შეთანხმდეს რექტორთან ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.
6. გაუქმდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №47(15/16) ენათა ცენტრში ხელშეკრულების საფუძველზე და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული სპეციალისტების დატვირთვის დიაპაზონისა და სახელფასო ანაზღაურების შესახებ .
7. დადგენილება ამოქმედდეს 2017-2018 სასწავლო წლიდან.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე